

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები  
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების #12345-Installment-12345 თავსართი

DD.MM.YY

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული  
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: წლიური X%  
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: X %  
ხელშეკრულების 2.12 პუნქტით გათვალისწინებული პირობით სესხის  
წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში 0%.

ფინანსური ხარჯები

ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა,  
პროცენტი): -- GEL  
ვადის ბოლოს შენატანი: --GEL  
სხვაობა სახელშეკრულებო და ნაღდი  
ანგარიშსწორების ფასებს შორის: 0.00 GEL

ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი: -- GEL  
ნაღდი ანგარიშსწორების ფასი: -- GEL

ხელშეკრულების სხვა პირობები

კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: -- GEL  
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი  
თანხის ოდენობა: -- GEL  
კრედიტის ვადა: ---- დღე  
საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ---- დღე  
პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის: დავალიანების თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე  
(არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა). ამასთან,  
ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში  
დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე  
ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

შენატანების სიხშირე/მაქსიმალური ვადები: ყოველთვიურად / -- შენატანი  
შენატანების საერთო რაოდენობა: ჯამში -- შენატანი  
გასატანი თანხის ოდენობა: -- GEL  
პერიოდულობა/გატანის თარიღები/გატანების  
საერთო რაოდენობა: სესხი გაიცეს 1 ტრანშად

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:**

- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (დეტალურად მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში);
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 032 2406 406

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #12345-Installment-12345

DD.MM.YY

ერთი მხრივ, სს “თიბისი ბანკი” (შემდგომში “ბანკი”) (საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“ (მის. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2)) და მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში “კლიენტი”/“მსესხებელი”) (პირადი ნომერი: -----) მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “პირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის”) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
- 1.2 საბანკო კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებით.
- 1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტით (სესხით) დაფინანსდება ამ ხელშეკრულების 2.20 პუნქტში დასახელებული პირისგან (შემდგომში „ორგანიზაციისგან“) ამ ხელშეკრულების 2.19 პუნქტში აღწერილი ნივთის შეძენა მსესხებლის მიერ.
- 1.3.1 მსესხებელი არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე იმისდა მიუხედავად, მიეწოდა თუ არა კლიენტს ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთი / მომსახურება. შესაბამისად, მსესხებელი აღიარებს და აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოადგენს მსესხებელსა და ორგანიზაციას შორის დადებული ან/და მომავალში დასადები რომელიმე გარიგებასთან ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას.
- 1.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტის (სესხის) თანხა ჩაირიცხება მსესხებლის ანგარიშზე, რომლიდანაც მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გადაირიცხება ორგანიზაციის ანგარიშზე.
- 1.4.1 იმ შემთხვევაში, თუ ვერ განხორციელდა სესხის თანხით შესაძენი ნივთის / მომსახურების მსესხებლის საკუთრებაში გადაცემა, ბანკი უფლებამოსილია კომპანიის მიერ ბანკისათვის უკან დაბრუნებული კრედიტის თანხა ჩაირიცხოს მსესხებლის ანგარიშზე და მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) მიმართოს სესხის წინსწრებით სრულად დასაფარად.
- 1.5 მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საბანკო კრედიტი გაიცემა და ხელშეკრულება ფორმდება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე, წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კლიენტის ვალდებულებები) არ იქნება უზრუნველყოფილი იმ ხელშეკრულებ(ებ)ით/ქონებით (უზრუნველყოფ(ებ)ით), რომლითაც უზრუნველყოფილია ძირითადი ხელშეკრულება(ები).

2. საბანკო კრედიტის ძირითადი პირობები

- 2.1 ძირითადი ხელშეკრულება(ხელშეკრულებები): საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება
- 2.2 კრედიტის ტიპი: განვადება
- 2.3 კლიენტ(ებ)ი: \_\_\_\_\_ (პირადი ნომერი: -----)
- 2.4 კრედიტის თანხა: ---- GEL
- 2.5 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ---- GEL  
ოდენობა:
- 2.6 კრედიტის ვადა: ---- დღე
- 2.7 საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ---- დღე
- 2.8 საპროცენტო განაკვეთი: წლიური X%
- 2.9 საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- 2.10 კრედიტის მიზნობრიობა: ამ ხელშეკრულების 2.22 პუნქტში აღწერილი ნივთის შეძენა
- 2.11 კრედიტის გაცემის ფორმა: ერთჯერადი
- 2.12 კრედიტის დაფარვის გრაფიკი: ---- ლარი ყოველი თვის -- რიცხვში (იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის ვადა დაემთხვევა არასაბანკო დღეს კლიენტი ვალდებული იქნება ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადაიხადოს დაფარვის თარიღის მომდევნო პირველივე საბანკო დღეს). კრედიტის დაფარვის დაწყების თარიღი DD.MM.YY. კრედიტი სრულად უნდა დაიფაროს DD.MM.YY

სესხის დაფარვის გრაფიკი აიგება ანუიტეტის პრინციპით, რაც გულისხმობს სესხის დაფარვას დროის თანაბარი პერიოდულობით თანაბარი მოცულობის თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) გადახდას. სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს

ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკი შეგიძლიათ იხილოთ Space-ის (დისტანციური არხის) აპლიკაციაში ან/და მოთხოვნა დააფიქსიროთ ტელეფონის ნომერზე - 2711711.

კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული გადახდის თარიღამდე და/ან გადახდის თარიღში კრედიტის თანხის (კრედიტის საწყისი ნაშთის) მინიმუმ 1/3-ის წინსწრებით დაფარვის (ანგარიშზე თანხის შესაბამისი დანიშნულებით (მიზნობრიობით) შეტანის / განთავსების) შემთხვევაში, გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველთვიურად გადასახდელ თანხას (გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღამდე და/ან გადახდის თარიღში გათვალისწინებულ შენატანს), არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი და ამავდროულად კლიენტი გათავისუფლდება წინსწრებით კრედიტის (სრული თანხის ან მისი ნებისმიერი ნაწილის) დაფარვასთან დაკავშირებული საკომისიოს გადახდის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული პირობა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ კრედიტის თანხის(კრედიტის საწყისი ნაშთის) მინიმუმ 1/3-ის წინსწრებით დაფარვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან გრაფიკით გათვალისწინებული პირველ სამი თვის ყოველთვიური გადასახდელის გადახდის თარიღამდე და / ან გადახდის თარიღში.

სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებული პირობის კლიენტის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტის დაფარვის გრაფიკი შეიცვლება და განისაზღვრება ერთ - ერთი შემდეგი პრინციპით: 1) გადასახდელი თანხა(ნარჩენი ძირითადი თანხა (კრედიტის ნაშთი)) თანაბრად გადანაწილდება კრედიტის სრულად დაფარვამდე დარჩენილ ვადაზე; ან 2) შემცირდება კრედიტის სრულად დაფარვამდე დარჩენილი ვადა, ხოლო გრაფიკით გათვალისწინებული პერიოდულობით გადასახდელი თანხა(გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური გადასახდელი თანხა), უცვლელი დარჩება.

2.13 ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:

დავალიანების თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.14 დამატებითი პირობები:

2.15 კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

X %

2.16 ბარათიდან თანხის გატანის საკომისიო:

2.17 გასატანი თანხის ოდენობა:

--- GEL

2.18 პერიოდულობა/გატანის თარიღები/გატანების საერთო რაოდენობა:

სესხი გაიცეს 1 ტრანშად

2.19 შენატანების ოდენობა:

---- GEL, (ჯამურად -- შენატანი)

2.20 შენატანების სიხშირე/მაქსიმალური ვადები:

ყოველთვიურად / -- შენატანი

2.21 შენატანების საერთო რაოდენობა:

ჯამში -- შენატანი

2.22 შესაძენი ნივთ(ებ)ი:

2.23 სავაჭრო/მომსახურების ობიექტი (ორგანიზაცია)

2.24 საკრედიტო შუამავალი:

დასახელება, საიდენტიფიკაციო, სამართლებრივი ფორმა, მისამართი, ტელეფონი. (შუამავლის დასახელება) წარმოადგენს ბანკთან დაკავშირებული პირს).

### 3. სხვა პირობები

3.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა კლიენტის მიერ ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხის - Space-ის (დისტანციური არხის) საშუალებით მისი დადასტურების (ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გაცხადების) მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

3.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების (ბანკის ვებგვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების) განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.

- 3.3 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის მიერ ფულადი სახსრების განთავსება უნდა განხორციელდეს Space-ის (დისტანციური არხის) საშუალებით გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე (Space ანგარიშზეზე), რაც არ ზღუდავს / აუქმებს ბანკის უფლებამოსილებას, მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) თანხა ჩამოწეროს კლიენტის მიერ ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით.
- 3.4 კლიენტი ადასტურებს და იძლევა თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია ორგანიზაციის მიერ ამ ხელშეკრულების 2.19 პუნქტში მითითებული ნივთის კლიენტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ორგანიზაციას (ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში) მიაწოდოს ინფორმაცია როგორც წინამდებარე კრედიტის შესახებ, ამავედროულად კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 3.5 ეს ხელშეკრულება იმავედროულად არის კლიენტის განაცხადი ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ.
- 3.6 კლიენტი თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში) კრედიტის დაფარვის (მომსახურების), ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით.
- 3.7 ბანკს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და ა.შ.);
- 3.8 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ მიზნით, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე და/ან კლიენტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებით, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას/ნაკისრ ვალდებულებას და/ან დადგება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი და/ან რომელიმე პირობა.
- 3.9 იმ შემთხვევაში, თუ: ა) კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ საკრედიტო ბაზარზე კრედიტით სარგებლობისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება; დ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საპროცენტო განაკვეთი.
- 3.9.1 ამგვარი ცვლილების შესახებ, ბანკი კლიენტის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით ინფორმაციის გაგზავნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოწვეული იქნება, კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევით. ამასთან, წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
- 3.9.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი ვალდებული იქნება ზემოხსენებულ ვადაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.
- 3.10 კლიენტი თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 3.11 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება Space-ის (ბანკის დისტანციური არხის) საშუალებით კლიენტის მიერ მიღებულ პროდუქტ(ებ)თან / მომსახურებასთან, კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: [www.space.ge](http://www.space.ge)). კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (თვე) სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: [www.space.ge](http://www.space.ge) და ტელეფონის ნომერზე: 2711711.
- 3.12 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

3.13 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის (Space-ის) სატელეფონო სერვის ცენტრს (+995 32 2711 711) და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). იგივე ქმედება კლიენტს შეუძლია განახორციელოს კლიენტის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის (Space აპლიკაციის) მეშვეობით. თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი (Space) მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი (Space) იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).